

"ექიმები სიმართლისათვის" მადრიდში ამხელენ Covid-19-ს როგორც "ცრუ პანდემიას"

"ექიმების სიმართლისათვის" მიერ
ესპანეთში ჩატარებული პრესკონფერენციიდან

გლობალური გამოკვლევა, 2 აგვისტო, 2020 წ.
მარკ ტალიანო, 1 აგვისტო, 2020წ.



"ექიმებმა სიმართლისათვის" მთელი მსოფლიოდან ასობით პროფესიონალის მონაწილეობით ამხილეს Covid-19 როგორც ცრუ პანდემია, შექმნილი პოლიტიკური მიზნებისათვის. ავრცელებენ რა სიმართლეს, მათ მოუწოდეს ექიმებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და პოლიტიკურ ხელისუფლებებს შეწყვიტონ ოპერაცია.

მთელ მსოფლიოში დიდი მღელვარებისა და მოლოდინების კონტექსტში ასოციაცია "ექიმები სიმართლისათვის" წარსდგა პრესკონფერენციაზე შაბათს, 25 ივლისს, მადრიდში.

ჯგუფმა, შემდგარმა მათ შორის, ექიმების ნატალია პრეგო კანსელოსა და ანხელ ლუის ვალდეპენიასისაგან, დაამყარა პირდაპირი კავშირი გერმანიის ექიმების არასაპარლამენტო კომისიასთან, არგენტინის ეპიდემიოლოგიურ ჯგუფთან და აშშ-ისა და არგენტინის ექიმებთან.

ღონისძიება დაიწყო კორონავირუსის შესწავლის გერმანიის არასაპარლამენტო კომისიის წარმომადგენლის, ჰაიკო შონინგის ჩართვით. იყო პროფესიონალების ონლაინ ჩართვები არგენტინიდან და აშშ-დან . პრესკონფერენცია დამთავრდა ოთხი ძირითადი საკითხის განხილვით, რომლებითაც ასოციაციამ "ექიმები სიმართლისათვის" მიმართა ესპანეთის მთავრობასა და ხელისუფლებას.

პრეზენტაციას, რომელიც მიმდინარეობდა მადრიდის პრესის სასახლის ღონისძიებების დარბაზში, ესწრებოდა 400-ზე მეტი ადამიანი, ექიმებისა და ასისტენტების, ჩვეულებრივი და ალტერნატიული მასმედიის საშუალებების წარმომადგენლთა შემადგენლობით. წარმოდგენილი იყო მონაცემები, ციფრები, ანალიზი და მსჯელობა, რომლებიც აჩვენებენ იმ ზომების არათანმიმდევრულობასა და მავნებლობას, რომლებიც გამოიყენება მთელ მსოფლიოში Covid-19-თან დაკავშირებით.

"მსოფლიო დიქტატურა სანიტარული გამართლებით".

"ეს არის სანიტარული ზომებით გამართლებული მსოფლიო დიქტატურა", ხაზი გაუსვეს შეხვედრის დასასრულს. ექიმები შეთანხმდნენ, რომ:

- კორონავირუსის მსხვერპლთა რაოდენობა არ აჭარბებს გასული წლის სეზონური გრიპით გამოწვეულ სიკვდილიანობას.
- ციფრები გაზრდილი იყო სამედიცინო პროტოკოლების შეცვლის ხარჯზე.
- ჯანმრთელთა დამწყვედევასა და ნიღბების იძულებით ტარებას არა აქვს სამეცნიერო დასაბუთება.
- დაავადებას, რომელიც ცნობილია როგორც Covid-19, აქვს არა ერთი ინფექციური სტრუქტურა, არამედ წარმოადგენს მათ კომბინაციას.

შეხვედრის დასასრულს ანხელ ლუის ვალდეპენიასმა ხაზი გაუსვა:

"ჩვენ უნდა ვუთხრათ ჩვენ მთავრობებს, რომ ისინი ვერასდროს გვაიძულებენ ვაქცინაციის ჩატარებას, ან თუნდაც სიფრთხილისათვის მათ გამოყენებას".

თავისი ბოლო გამოსვლის დასასრულს ვალდეპენიასმა სთხოვა პრესას, რომ "გამოავლინონ საპასუხისმგებლო ძალისხმევა, რომელსაც აქამდე ვერ ვხედავთ", და გააკრიტიკა მათი მხრიდან "პანდემიის შესახებ ინფორმაციით ბომბარდირება, ინფორმაციის რაოდენობისა და ხარისხის შეფასების გარეშე". ექიმმა მიუთითა, რომ როდესაც მასმედიის საშუალებები საუბრობენ "ახალ აფეთქებაზე", მათ უნდა აუხსნან მოსახლეობას, რომ ეს მხოლოდ დადებითი ტესტებია, მაგრამ რომ 98% "ჯანმრთელი უსიმპტომო ადამიანია".

ღონისძიების დასრულების შემდეგ დისკუსიის მონაწილეები გამოვიდნენ ქუჩებში და მათ გაჰყვა სიმართლის ყვირლის მრავალიმონაწილე! ისინი ერთად წავიდნენ პლასა-დე-კალიაოს მოედნისაკენ. იქ 2 საათზე მეტი ხნის განმავლობაში ისინი ესაუბრებოდნენ ხალხს, მათ ვინც ვერ შეძლო შეხვედრაზე დასწრება.

თუმცა ზემოთ მოთხრობილი შეიძლება დაჩეხონ, როდესაც "ფაქტების შემმოწმებელი" ("fact-checkers") გადაწყვეტს, რომ აქ რაღაც არ შეესაბამება ხელისუფლების თვალსაზრისს.

*

თავდაპირველად ეს გამოქვეყნდა Contra información-ის მიერ 2020წ. 26 ივლისს
ამ სტატიის პირველწყარო არის მარკ ტალიოანოს სტატია
Copyright © Doctors for the Truth, Mark Taliano, 2020

(იხ.<https://globalriskcommunity.com/profiles/blogs/doctors-for-the-truth-speak-out-in-madrid-denounce-covid-19> – მთარგმნელის შენიშვნა).